ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დანართი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს იუჯი სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:

- [x] დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [x] საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [x] საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;

- [ ] პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:** ნელი ნასყიდაშვილი
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი:** მაკა ტუკვაძე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

II. დაწესებულების მისია

განათლებული ჰუმანური იდეალებითა და პატრიოტული გრძნობით აღჭურვილი, ანალიტიკურად და შემოქმედებითად მოაზროვნე ღირსეული მოქალაქის აღზრდა, რომელსაც თავისუფლად შეეძლება სკოლაში მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მეშვეობით საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება შემდგომი განვითარებისათვის.

III. სტანდარტები

**1. საგანმანათლებლო პროგრამები**

**1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას**

**შეფასება:**

სკოლამ წარმოდგინა 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და 2018-2019 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც დამტკიცდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით, შესაბამისი პროცედურების დაცვით.

2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივი ბადე განსაზღვრავს მოსწავლეთა აუცილებელი კვირეული დატვირთვის ოდენობას კლასებისა და საგნების მიხედვით, მასწავლებლის ვინაობის მითითებით. მასში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ყველა საგნის სწავლება. დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა გულისხმობს ყველა კლასისათვის კლასის დამრიგებლის გამოყოფას, განსაზღვრავს მათ უფლება-მოვალეობებს;

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

**დასტურდება:**

- 2018-2019 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიურებით;

**1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები**

**შეფასება:**

სკოლა დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით მოსწავლეებს სთავაზობს ჭადრაკის სწავლებას II- IVკლასებში და რუსული ენი სწავლებას II-XII კლასებში, ხოლო ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი მომსახურების სახით სასცენო ხელოვნების წრის, ფორტეპიანოს წრის მეცადინეობებს, კითხვის საათს.

ყველა კლასს ჰყავს კლასის დამრიგებელი. წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამები.

სკოლაში ფუნქციონირებს 6 საგნობრივი გაერთიანება, რომლებშიც სკოლის ყველა მასწავლებელია გაერთიანებული.

სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელების მიერ საგნების მიხედვით, სემესტრების ბოლოს მოსწავლეზე ინდივიდუალურად მორგებული/შედგენილი დახასიათებები, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით.

ზოგ საგნებში, მაგალითად, ინგლისური, ბიოლოგია, გეოგრაფია, შემაჯამებელი დავალებების სხვადასხვა ფორმაა გამოყენებული და სრული დოკუმენტაციაა წარმოდგენილი, რასაც ითხოვს ეროვნული სასწავლო გეგმა.

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და აძლევს საშუალებას მოსწავლეებს, რომ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა და უნარები.

**დასტურდება:**

- ხარისხის მართვის მენეჯერთან ინტერვიურებით;
- მასწავლებლების შემაჯამებელი დავალებების შესახებ დოკუმენტაციით;
- სადამრიგებლო პროგრამებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

**1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის**

**შეფასება:**

სკოლა 2018/19 სასწავლო წელს მეორე სემესტრიდან ახორციელებდა ყველა საგნის მიხედვით შედგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სსსმ მოსწავლისათვის, მოსწავლის საჭიროების შესაბამისად. ისგ - ს ფარგლებში დეტალურადაა აღწერილი სასწავლო მიზნები და მიღწეული შედეგები თვეების მიხედვით, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები, მეცადინეობის გრაფიკი და ხანგრძლივობა. მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირია სპეციალური მასწავლებელი.

ისგ ითვალისწინებს ინფორმაციას ბავშვის ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ აკადემიური, შემეცნებითი, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით. განსაზღვრულია ისგ შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფი (ისგ ჯგუფი), რომელმაც უზრუნველყო სსსმ მოსწავლისათვის ისგ შემუშავება და ასევე ხელს უწყობს მის განხორციელებას.
ისგ ჯგუფის შეხვედრებზე სპეციალური მასწავლებელის მიერ ხდება სხდომის ოქმების წარმოება.

**დასტურდება**

- სკოლის სწავლების მენეჯერთან ინტერვიურებით;
- სპეციალური მასწავლებლის მიერ გაკეთებული ჩანაწერებით;
- გასაუბრებით ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

**1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად**

**შეფასება:**

სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შეფასების პრინციპებს. მასწავლებლები იყენებენ ეროვნულ სასწავლო გეგმაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

წარმოდგენილ ორივე ტიპის შეფასებას : განმსაზღვრელს და განმავითარებელს. საგნობრივ კათედრებზე არის შემუშავებული შეფასების რუბრიკები.

განსაზღვრულია კლასიდან კლასში მოსწავლის გადასაყვანი მინიმალური ბარიერი და მისი დაუძლევლობის შემთხვევაში მოსწავლისათვის დახმარების გაწევის მექანიზმები. შემუშავებულია საშემოდგომო გამოცდის დანიშვნისა და ჩატარების, გაცდენილი შემაჯამებელი სამუშაოების აღდგენის პროცედურები, დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასების პრინციპები.

**დასტურდება:**

- 2018-2018 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით;
- შემაჯამებელი დავალებების საერთო ანალიზების ამსახველი დოკუმენტაციით;
- გასაუბრებით სკოლის ადმინისტრაციასთან;

**1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით**

**შეფასება:**

სკოლაში შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი, პარასკევი დღე დაწესებულია მშობელთა ვიზიტის დღედ. ამასთან, მშობლებს საკუთარი საჭიროებებიდან გამომდინარე სხვა დღეებშიც აქვთ მასწავლებელებთან შეხვედრის შესაძლებლობა.
კლასის დამრიგებლის სამუშაო გეგმა მოიცავს ინფორმაციას მის სადამრიგებლო კლასში მშობელთან განსახორციელებული მუშაობის შესახებ.

სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი და ხდება მოსწავლის სკოლის ტერიტორიაზე შესვლა/გასვლის SMS სისტემის მუშაობა.

**დასტურდება:**

- სკოლის ადმინისტრაცის ინტერვიურებით;
- სკოლის ვებ-გვერდით;
- კლასის დამრიგებლების პროგრამებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

**1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი**

**შეფასება:**

სკოლას ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელსაც შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი.

**დასტურდება:**

- ხარისხის მენეჯერთან ინტერვიურებით;

## 2. მატერიალური რესურსი

**2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:**

**ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი**

**შეფასება:**

ბათუმის შპს იუჯი სკოლა მდებარეობს ქალაქ ბათუმში, ჯავახიშვილის ქ. №5-ში, 4 სართულიან შენობაში. შენობა-ნაგებობ(ე)ბის საერთო ფართია 1556. 00 კვ. მ.

**დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით**

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1 | ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის № 5 | 1556.00 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

**დასტურდება**

- ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან , საკადასტრო კოდი - №05.23.23.002;
- ვიზუალური დათვალიერებით.

**ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით**

**შეფასება**:

სკოლაში 22 საკლასო ოთახია, რომლებიც აღჭურვილია მოსწავლის 286 ერთეული მაგიდითა და 276 ერთეული სკამით.

სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს თბილისი სასკოლო ინვენტარის ფაბრიკასთან, მოსწავლის 140 ინდივიდუალური მერხის კომპლექტის დამზადებისა და 2018 წლის 1 სექტემბრამდე მიწოდების შესახებ.

**დასტურდება:**

- ვიზუალური დათვალიერებით;
- შპს თბილისი სასკოლო ინვენტარის ფაბრიკასთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- მიღება- ჩაბარების აქტებით;
- სასაქონლო ზედნადებებით.

**გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი**

**შეფასება:**

სკოლაში სპორტის არჩეული სახეობებია მინიფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და კალათბურთი. შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სპორტული დარბაზი, ეზოში არის ღია სპორტული მოედანი. სკოლას აქვს შესაბამისი სპორტული ინვენტარი.

**დასტურდება:**

- ვიზუალური დათვალიერებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- სასაქონლო ზედნადებებით;
- ნასყიდობის ხელშეკრულებებით;

**დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები**

**შეფასება:**

საბუნებისმეტყველო ლაბორატორია განთავსებულია ერთ ოთახში, სადაც არის გამწოვი. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება გამწოვი კარადის დამზადებისა და დამონტაჟების შესახებ. ლაბორატორიაში ხდება წყლის მიწოდება. შემუშავებულია და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ყოველ სართულზე, ლაბორატორიის გამოყენების წესი (დებულება).

**დასტურდება:**

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ნასყიდობის ხელშეკრულებით ;
- ადმინისტრაციის უფროსთან გასაუბრებით;
- გამწოვი კარადის დამზადების ხელშეკრულებით;
- შესყიდვის დოკუმენტაციით.

**2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები**

**შეფასება:**

სკოლას აქვს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა (გენერატორი). სველი წერტილები განთავსებულია სართულზე ვაჟებისათვის და გოგონებისათვის. ადაპტირებული სველი წერტილი მდებარეობს მეორე სართულზე, სულ 9 სველი წერტილია. სველ წერტილებში არის ხელსაბანები. ყველა საკლასო ოთახს აქვს ფანჯარა კარგი ბუნებრივი განათებით. თუმცა ქუჩის მხარეს ოთახის კედლები არის ვიტრაჟებით, რომლის გამოყენებაც არ არის უსაფრთხო. სკოლის დირექციას გაეწია რეკომენდაცია, რის შემდეგაც მოხდა ხელშეკრულების გაფორმება 28 გისოსის დამზადების მიზნით, რომლის მიხედვითაც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სამუშაო უნდა დასრულდეს 2018 წლის 10 აგვისტომდე. სკოლის გათბობის სისტემა ცენტრალიზებულია, საქვაბე მუშაობს ბუნებრივ აირზე.

**დასტურდება:**

- ვიზუალური დათვალიერებით;
- საბუღალტრო დოკუმენტაციით;
- ხელშეკრულებით: ს.ს ,,ენერგო პრო ჯორჯია", შპს ,,ბათუმის წყალი", შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი";
- მომსახურების ხელშეკრულებით 11/07/2018.
- კომუნალური გადასახადის გადახდის დოკუმენტებით.

**2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით**

**შეფასება:**

სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდი შეადგენს 1054 ერთეულს. ბიბლიოთეკაში სრულად არის წარმოდგენილი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს 2016 წლის 10 ნოემბრის № 01/11 ოქმით. დებულებით განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მიზნები და ფუნქციები, ბიბლიოთეკარის და მკითხველის უფლება-მოვალეობები. ბიბლიოთეკაში დგას ერთი კომპიუტერი, გამოკრულია სასწავლო რესურსებით სარგებლობის წესი. სკოლა სარგებლობს ელექტრონული ბიბლიოთეკით.

**დასტურდება:**

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ბიბლიოთეკის დებულებით;
- ელექტრონული ბიბლიოთეკით;
- სასწავლო რესურსების გამოყენების წესით.

**2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის**

**შეფასება:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სსსმ პირისთვის. სკოლაში ყველა სართულზე ასასვლელად ფუნქციონირებს ლიფტი, ადაპტირებული სველი წერტილი არის მეორე სართულზე. შენობის შესასვლელში არის პანდუსი.

**დასტურდება:**

- ვიზუალური დათვალიერებით;
- სასაქონლო ზედნადებით შპს ,,ვიზიონ ლიფტი" 15/06/2016.

**2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.**

**შეფასება:**

სკოლის შენობის მე-3 სართულზე არის კომპიუტერული კაბინეტი, სადაც განთავსებულია ინტერნეტში ჩართული 20 კომპიუტერი. ერთი კომპიუტერი განთავსებულია ბიბლიოთეკაში, სამი კომპიუტერი არის-სწავლების მენეჯერის ოთახში, ერთი კომპიუტერი პირველ კლასში და და ერთი კომპიუტერი შესასვლელში/ფოიეში ვიდეოკამერებისთვის. სულ სკოლაში არის 26 კომპიუტერი.

სკოლას აქვს ვებ-გვერდი **www. Ugschool.edu.ge,** რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ისტორია, სტრუქტურა, სკოლის დებულება, გალერეა, ინფრასტრუქტურა და რეკვიზიტები. დაწესებულებას აქვს ფეისბუქ-გვერდი, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას.

**დასტურდება:**

- სკოლის ვებ-გვერდით **www. Ugschool.edu.ge;**
- კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის და იჯარის დოკუმენტაციით;
- ხელშეკრულებით ს.ს ,,სილქნეტი"- თან ინტერნეტ-სერვისით მომსახურების შესახებ;
- ვიზუალური დათვალიერებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

**2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:**

**ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;**

**ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;**

**გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;**

**დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;**

**ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც სკოლას შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.**

**შეფასება:**

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის შენობის ოთხივე სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები ( 20 ცეცხლმაქრი) და დამონტაჟებულია სახანძრო დეტექტორები (70 დეტექტორი);

ბ) თითოეულ სართულზე, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია, ახალი სტანდარტებით შემუშავებული საევაკუაციო გეგმა ( სულ 9 საევაკუაციო გეგმა) და უსაფრთხოების მექანიზმის გამოყენების ინსტრუქცია;

გ) ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლის შენობის მე-2 სართულზე გამოყოფილია ოთახი, სადაც განთავსებულია სამედიცინო საწოლი და კარადა მედიკამენტებით. ოთახს აქვს სველი წერტილი. ყველა სართულზე გამოკრულია პირველადი დახმარების წესების გამოყენების თვალსაჩინოება და განთავსებულია სამედიცინო ყუთები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

დ) სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2016 წლის 10 ნოემბრის 01/11 სხდომის ოქმი. დოკუმენტში გაწერილია უსაფრთხოების, წესრიგის დაცვის მექანიზმები და პირველადი დახმარების გაწევის მეთოდები.

შპს ,,იუჯი სკოლის" დირექტორის №444 ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო შტაბის შექმნისა და ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. დოკუმენტში დანართის სახით წარმოდგენილია შტაბის წევრების პოზიცია, შეთავსებული ფუნქცია და შესაბამისი ფუნქციის აღწერილობა.

ე) გარე და შიდა პერიმეტრი კონტროლდება ვიდეომეთვალყურეობის სისტემით. სკოლაში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია უსაფრთხოების სამსახური. სამსახურის თანამშრომლები ვალდებული არიან მუდმივად აკონტროლონ სკოლაში დამონტაჟებული სამეთვალყურეო კამერები მონიტორის საშუალებით, რომელიც დგას სკოლის ფოიეში.
სკოლის გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია 3 ვიდეოთვალი, ხოლო შიდა პერიმეტრზე 14 ვიდეოთვალი, კამერების პარამეტრები შეესაბამება სანდარტით მოთხოვნილ ნორმებს.

**დასტურდება:**

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ხელშეკრულებებით: სახანძრო სიგნალიზაციის მონტაჟზე 18.06.2018, შპს ,,სახანძრო უსაფრთხოების სამსახური" 20/06/2018;
- მიღება-ჩაბარების აქტებით;
- სკოლის მართვის დებულებით;
- კამერების შესყიდვის დოკუმენტაციით;

**2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები**

**შეფასება:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლას შემუშავებული აქვს საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი დოკუმენტები: შპს ,,იუჯი სკოლის" შინაგანაწესი, სკოლის მართვის დებულება და სასკოლო სასწავლო დებულება.

სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია შპს ,,იუჯი სკოლის" დირექტორის 2015 წლის 26 აგვისტოს №242 ბრძანებით და მოიცავს შემდეგ საკითხებს: მოქმედების სფერო, შინაგანაწესის მიზანი, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო, უქმე დღეები, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები, დასაქმებულთა ჩაცმულობა, სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინება, შრომის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქცია, სკოლაში პედაგოგთა მიღება, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი, წესი და პირობები, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, მივლინების ადმინისტრირება და სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება, ზეგანაკვეთური სამუშაო, შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, წახალისების ფორმები და გამოყენება, ეთიკური ნორმები, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და წარმოება, შინაგანაწესში ცვლილებების შეტანა.

სკოლის მართვის დებულება და სასწავლო დებულება დამტკიცებულია დაწესებულების პარტნიორთა კრების ოქმით -№ 7/16 10.11.2016. სკოლის მართვის დებულება მოიცავს შემდეგ საკითხებს: ტერმინთა განმარტება, ზოგადი დებულება, სკოლის მართვა და სტრუქტურა, მართვის კოლეგიალური ორგანოები, პარტნიორთა კრება და სკოლის სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობები, გარდამავალი და დასკვნითი დებულებები.

შპს ,,იუჯი სკოლის" სასკოლო სასწავლო დებულებით განსაზღვრულია სკოლის მისია, სკოლის საქმიანობის საგანი, სასწავლო პროცესი, სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის პირობები, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლის ადმინისტრაციის უფლება-მოვალეობები, მშობლის ინფორმირების წესი, სწავლის საფასური და გადახდის წესი, მოსწავლის ქცევის წესები, წახალისების და პასუხისმგებლობის ზომები, სასწავლო დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი.

სკოლაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული შინაგანაწესი და მოსწავლეთა ქცევის კოდექსი

**დასტურდება:**

- შპს ,,იუჯი სკოლის" შინაგანაწესით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- სკოლის მართვის დებულებით;
- სასკოლო სასწავლო დებულებით.

**2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს**

**შეფასება:**

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების სტრატეგიული (2017-20123) და სამოქმედო გეგმები, რომელიც დამტკიცებულია პარტნიორთა კრების 2017 წლის 23 ივნისის 3/17 ოქმით.

ექვსწლიან გეგმაში გაწერილია სკოლის განვითარების სტრატეგიული მიზნები, რაც ითვალისწინებს მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. კერძოდ, კეთილმოწყობილი, კომპიუტერული ტექნიკით და სასწავლო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიებისა და სასწავლო ლაბორატოიების მოწყობას, ბიბლიოთეკისა და სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. ექვსწლიანი გეგმა ჩაშლილია წლების მიხედვით სამოქმედო გეგმებად და წარმოდგენილია ცხრილის სახით, სადაც მითითებულია ამოცანები, განსახორციელებელი ღონისძიებები, განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი პირები, მიღწეული შედეგების განმსაზღვრელი ფაქტორები.

სკოლამ წარმოადგინა 2018-2019 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც შემუშავებულია წინა სასწავლო წლის ანალიზის საფუძველზე. წარმოდგენილ გეგმაში მოცემულია განსახორციელებელი ღონისძიებები, ვადები და მიღწეული შედეგების განსაზღვრის ფაქტორები.

**დასტურდება:**

- ექვსწლიანი სამოქმედო გეგმით ;
- 2018-2019 სასწ. წლის სამოქმედო გეგმა-პროექტით.ერთწლიანი სამოქმედო გეგმით .

**2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა**

**შეფასება:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლაში მოქმედებს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის სისტემა. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოებს ინსტრუქცია, რომელიც დამტკიცებულია შპს ..იუჯი სკოლის" დირექტორის 2016 წლის 16 ნოემბრის № 449 ბრძანების საფუძველზე.

საქმისწარმოების ინსტრუქციით განსაზღვრულია: ზოგად დებულებები, დოკუმენტბრუნვა, შემოსულ და შიდა დოკუმენტების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირის უფლება-მოვალეობები, შემოსული და გასული დოკუმენტების მიღების, დამუშავების, რეგისტრაციისა და გაფორმების წესი, ნორმატიული აქტების პროექტებისა და სხვა დოკუმენტების მომზადების, გაფორმებისა და რეგისტრაციის წესი, დავალებათა, ხელშეკრულებებისა და სხდომის ოქმების გაფორმება და რეგისტრაცია. მოქალაქეთა წერილების განხილვა და მიღების ორგანიზება, ინფორმაციის გაცემის უფლება, ბეჭდის და შტამპის გამოყენება, არქივი და დასკვნითი დებულებები.

**დასტურდება:**

- სკოლის ,,საქმისწარმოების წარმოების' ინსტრუქციით
- შემოსული და გასული კორესპოდენციების აღრიცხვის ჟურნალებით
- ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალით
- ბრძანებების წიგნით.

**3. ადამიანური რესურსი**

**3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი**

**შეფასება:**

სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლაში 52 თანამშრომელია. სასწავლო - საგანმანათლებლო პროცესს ემსახურება 35 მასწავლებელი. ამათგან, 13 არის - უფროსის, ხოლო 22 - პრაქტიკოსის სტატუსის მქონე.

მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საათობრივ დატვირთვას.

**დასტურდება:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- შინაგანაწესით;
- თანამშრომელთა და მასწავლებელთა დანიშვნის შესახებ ბრძანებებით;
- თანამშრომელთა პირადი საქმეებით;
- 2018-2019 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით;
- თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებებით.

**3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად**

**შეფასება:**

სკოლის მასწავლებლები შერჩეული არიან "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებლებს უდასტურდებათ კვალიფიკაცია იმ საგანში, რომელსაც ასწავლიან.

სკოლა ჩართულია მასწავლებლის პროფესიაში შესვლის, პროფესიული განვითარებისა და და კარიერული ზრდის სქემაში.

**დასტურდება:**

- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვით;
- მასწავლებელთა პირადი საქმეებით.

**3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა**

**შეფასება:**

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, შემუშავებულია მასწავლებელთა წახალისებისა და სანქციების სისტემა.

**დასტურდება:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- სკოლის შინაგანაწესით;
- დირექტორის ბრძანებებით;
- სკოლის დირექციასთან გასაუბრებით;

**3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები**

**შეფასება:**

სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელსა თუ ადმინისტრაციულ - ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებები შეესაბამება მოქმედ შრომის კოდექსსა და კანონმდებლობას.

**დასტურდება:**

- გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- ხელშეკრულების სარეგისტრაციო ჟურნალით;
- მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- შინაგანაწესით.

**3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები**

**შეფასება:**

სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების 4 მოდულიანი პროგრამა, რომლებსაც მასწავლებელები პერიოდულად გადიან, ზოგს სავალდებულო სახით(საგნობრივი და მეთოდოლოგიური ნაწილი) , ზოგს არჩევითი სახით(ინგლისური ენა, და ინფორმაციული ტექნოლოგიები).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ასევე, „ საქართველოს უნივერსისტეტის“ ჰუმანიტარულ, ინფორმატიკისა და მათემატიკა-ინჟინერიის სკოლასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება პედაგოგთა განვითარების ხელშეწყობა.

იუჯი სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს საქართველოს უნივერსისტეტის ტრენინგცენტრთან UG – PRIED დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში მასწავლებლების გადამზადების შესახებ.

**დასტურდება:**

- შპს საქართველოს უნივერსისტეტსა და შპს იუჯი სკოლას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
- სკოლის დირექტორის ბრძანება № 330-ით;
- მასწავლებელთა შეფასების ჯგუფის დებულებით.

**3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას**

**შეფასება:**

შპს „იუჯი სკოლა“-ში დაცულია კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. სკოლის შინაგანაწესი სასკოლო საზოგადოების ყოველ წევრს უქმნის საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობას.

**დასტურდება:**

- სკოლის შინაგანაწესით;
- სკოლის ადმინისტრაციის ინტერვიურებით.

IV. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. ბათუმი 13 ივლისი, 2018 წელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.